# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N1157 2024 წლის 21 აგვისტო ქ. თბილისი

**ზოგიერთი მეწარმე სუბიექტისთვის მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების შესახებ**

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №633 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, მიენიჭოთ მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი ამ განკარგულების დანართით განსაზღვრულ მეწარმე სუბიექტებს.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე

დანართი

| N | გადამხდელის დასახელება | ს/ნ | საქმიანობის განხორციელების ადგილი | საქმიანობის სახე (მოკლე აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| 1 | შპს „მაროს ფერმა" | 406457427 | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინარეხი | რძის ნაწარმის დამზადება (ხაჭო, კარაქი, არაჟანი. მაწონი, ნადუღი), ხორცის კონსერვის წარმოება |
| 2 | შპს „რაჭის მესაქონლეობა" | 437979207 | ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შარდომეთი | მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება და ხორცის რეალიზაცია |